საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/138

05 დეკემბერი, 2019 წ.

ქ. ბათუმი

,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2019-2020 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 სექტემბრის N06-01/109 დადგენილებაში დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის და ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 20 ნოემბრის MES 1 19 01587470 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2019-2020 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 სექტემბრის N06-01/109 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი სახის დამატებები, კერძოდ, პირველი პუნქტის შემდეგ **დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 და 1^2 პუნქტები:**

,,1^1. წინამდებარე დადგენილების პირველი პუნქტის ,,ა-გ“ პუნქტებით განსაზღვრული 2020 წლის **შემოდგომის სემესტრის აკადემიური კალენდარი** გავრცელდეს ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე მე-2, მე-5 და მე-6 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებზე (მათთვის **2019-2020 სასწავლო წლის მე-2 სემესტრი).**

1^2. ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე მე-2, მე-5 და მე-6 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის **2020 წლის გაზაფხულის სემესტრის** (2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრი) სასწავლო პროცესის ვადები (აკადემიური კალენდარი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) გაზაფხულის სემესტრის სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2020 წლის 23 მარტს და დასრულდეს 2020 წლის 11 ივლისს;

ბ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 13 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით;

გ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2020 წლის 3 აგვისტოდან 8 აგვისტოს ჩათვლით.

2. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან თვალსაჩინო ადგილზე, ბსუ–ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე.

3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში